შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 28704

03/08/2015

საჯარო სამართლის იურიდიული პირის- შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების განკარგვის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების და განკარგვის წესი და პირობები“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ამ ბრძანების დანართი N1ით განსაზღვრული სსიპ- შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული ვარგისი მასალების განკარგვა:
2. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შესახვის, შეფასების და განკარგვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ამ ბრძანებით განსაძღვრული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიენიჭოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების უფროს სპეციალისტს ლევან დარასელიას.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს ნიკოლოზ კახეთელიძეს.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური